

# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №131  
2015 წლის 4 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1  
„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაფორმების ადგილამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე მიტანის ვადა (გარდა ამ მუხლის მე-6-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) განისაზღვრება 60 კალენდარული დღით, ხოლო სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – 30 კალენდარული დღით.

6. სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, საქონლის გაფორმების ადგილზე მიტანის 60-დღიანი ვადა იზრდება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადით.“.

2. მე-20 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის დეკლარირება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ან მოწმობის შევსების თარიღიდან 60 კალენდარულ დღეში.“;

ბ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაგრძელება შესაძლებელია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწვევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით გათვალისწინებული საფასურის გადახდით, არა უმეტეს 30 კალენდარული დღით.

6. სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ, საბაჟო დეკლარაციის წარდგენის 60-დღიან ვადას ემატება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადა.“.

3. 33-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სეს ესნ-ის 8702-ე სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას.“;

ბ) მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) თავდებობის ხელშეკრულება (დანართი VI-03):

დ.ა) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, როდესაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი ან წარდგენილია ხარვეზით;

დ.ბ) ფიზიკური პირის მიერ საწყობის სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებული სეს ესნ-ის 8702-ე სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას. ამასთან, ერთი თავდებობის ხელშეკრულებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოსაშობი ვალდებულება, დეკლარანტის მიერ თავდებობის ხელშეკრულებების გამოყენებით შესაძლებელია ერთდროულად არა უმეტეს 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შენახვა, ხოლო პირი ერთდროულად შესაძლებელია წარმოადგენდეს თავდებს მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალების შენახვაზე.“.

4. 34-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას – იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას.“.

5. „დანართი VI-03“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

6. 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხდება 60 კალენდარულ დღეში (სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – 30 კალენდარულ დღეში), რომელიც აითვლება:

ა) თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე – შსს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან;

ბ) სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე – საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ გაცემული მოწმობის „D“ ნომრის გასწვრივ მითითებული შევსების თარიღიდან.“.

7. 62-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე, არა უმეტეს 30 კალენდარული დღით – სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ

აღმატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღმატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღმატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა, თუ ამოიწურა საბაჟო დეკლარაციის წარდგენისათვის ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გაგრძელებული ვადა და წარდგენილია არანაკლებ იმპორტის გადასახდელების თანხის შესაბამისი გარანტია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 15 მაისიდან და მისი მოქმედება გავრცელდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2015 წლის 31 მარტის შემდეგ შემოტანილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური